თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ჯავახაძე ოთარ

რუსეთის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ

,,წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად”

თბილისი, 0156, საქართველო

ავტორი: ოთარ ჯავახაძე / . . . . . /

ნაშრომის საიდენტიფიკაციო ნომერი: . . . . . .

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით ჯავახაძე ოთარის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: **რუსეთის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ** და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი: 20 სექტემბერი, 2021 წელი

ხელმძღვანელი: . . . . . / . . . . . /

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების

სამსახურის უფროსი: . . . . . / . . . . . /

რეცენზენტი: . . . . . / . . . . . /

რეზიუმე

გლობალიზაციის და კომუნიკაციების განვითარებასთან ერთად სახე იცვალა ომმაც. კლასიკური კონვენციური ომი აღარ არის მხოლოდ ერთარერთი სამხედრო ალტერნატივა. პირდაპირი, ფართო მასშტაბიანი დაპირისპირება ან არ არის საჭირო ან მხოლოდ კონკრეტულ ეტაპზე არის ერთი შემადგენელი ნაწილი დიდი სტრატეგიის.

დღეს აქტუალურია ე.წ. „ჰიბდიდული ომი", რომელიც ომის წარმოების მრავალ ელემენტს მოიცავს, მაგ.: პოლიტიკა, დიპლომატია, ეკონომიკა, სამხედრო, საინფორმაციო, კიბერი და სხვა. დღეს ერთ–ერთი წამყვანი ელემენტია საინფორმაციო ომი, რომელიც მოიცავს დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მეშვეობით ომის წაროემას. საინფორმაციო შეტევების მიტანა მოწინააღმდეგეზე ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებითა და მეთოდებით.

ნაშრომი „რუსეთის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ" შესდგება შესავლის, 3 ძირითადი თავის, ქვეთავების, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

შესავალში – მოცემულია ნაშრომის წერის მიზნები. ჩამოყალინებულია თემის მეთოდები. შესავალში, ასევე მოცემულია პრობლემის აქტუალობის განსაზღვრვრის ნაწილი. და ბოლოს არის აღწერილი პრობლემის და ამ ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობა.

პირველი თავი – შესდგება ჰიბრიდული ომის განმარტებისა და ელემენტებისაგან. ამ თავში მოცემულია რამოდენიმე ავტორისაგან ე.წ. „ჰიბრიდული ომი"–ს განმარტება. ელემენტები და „ჰიბრიდული ომი"–ს ისტორიული ექსკურსი რუსეთ–საქართველოს მაგალითზე.

მეორე თავი – ეხება რუსეთის მიერ წარმოებულ საინფორმაციო ომს. საინფორმაციო ომის მიზნებს, თუ რა მიზნებს ემსახურებათ კრემლის ყოველი მოქმედება. ამ თავში მოცემულია კონკრეტული ნარატივები, რომლებითაც ხდება საზოგადოებაში პროპაგანდისა ანდა დეზინფორმაციის გავრცელება. ამავე თავში მოცემულია ის სავარაუდო საფრთხეები რომელიც ემუქრება საქართველოს რუსეთისაგან.

მესამე თავში – თავმოყრილია მონაცემები საქართველოში კრემლის საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმების შესახებ. რუსეთის მიერ ნარავივების გავრცელების საშუალებებია : მედია, პრორუსული პოლიტიკური პარტიები, სასულიერო პირები, კიბერი, სარასამთავრობო ორგანიზაციები.

დასკვნაში – არის შეჯამებული და გაანალიზირებული კვლევა, ნაშრომში გამოყენებულ ლიტერატურაზე და ინფორმაციაზე დაყრდნობით მოხდა საერთო შეჯამების და რეკომენდაციების დადება.

აღსანიშნავია ამ ნაშრომში მოყვანილი ფაქტებითა და ინფორმაციით განისაზღვრა რუსული ჰიბრიდული ომის წარმოების ფაქტი საქრთველოს წინააღმდეგ. ასევე გამოვლინდა ცალკეულად საინფორმაციო ომის არსი და მისი მიზნები. გაანალიზდა თუ რატომ არის საინფორმაციო ომის დღესდღეობით რუსული ჰიბრიდული ომის სტრატეგიის ქვაკუთხედი. რა რესურს ხარჯავს და რა ხერხებით ახერხებს კრემლი პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მეშვეობით კონკრეტულ მიზნებზე გასვლას.

ნაშრომში განხილულია რამოდენიმე რეალური მაგალითი, რომლის განხილვაც იძლევა მკაფიო სურათს რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მოშაობის შესახებ. თემაში თანმიმდევრულად ხდება მთლიანი სურათის შეკრა ჰიბრიდული ომის არსიდან, საინფორმაციო ომის კონკრეტულ მექანიზმების გამოყენებამდე. ასევე გადმოცემულია რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კონტრეტულიუ ნარატივები. ის მესიჯები რომელებიც ჩვენს ისრგვლივ არის და რომლებიც გხვდება ჩვენს დღევანდელობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი არის მცირე წვლილი უსაფრთხოების აკადემიურ სივრცეში. ამ კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ

საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი უსაფრთხოების სფეროს მკვლევარების, ექსპერტების და საჯარო უწყებების თანამშრომლების აღზრდა.

ეს თემა სამომავლოდ შეიძლება იყოს გამოყენებული როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სასწავლო კურსების მომზადებისათვის.

კვლევის საკითხი გამოირჩევა აქტუალურობით, რადგან რუსული ჰიბრიდული, საინფორმაციო ომი აღიარებულია ეროვნულ და საერთაშორისო საფრთხეებად საქართველოსთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სწორად მოახდინოს საფრთხეების, რისკების და გამოწვევების შეფასება.

Resume

With the development of globalization and communications, the face of war has also been changed. Classic conventional war is no longer the only military alternative. Direct, large-scale confrontation is either no longer needed or only at a particular stage is one integral part of a larger strategy.

Today, the so-called "Hybrid war" is relevant, which includes many elements of war production, such as politics, diplomacy, economics, military, information, cyber and others. One of the leading elements today is the information war, which involves waging war through disinformation and propaganda. Delivering information attacks against the opponent through various means and methods of spreading information.

The paper "Russia's Information War against Georgia" consists of an introduction, 3 main chapters, subsections, a conclusion and references.

Introduction - The aims of writing the paper are given. The methods of the topic are set out. In the introduction, the part of determining the urgency of the problem is also given. Finally, the practical significance of the problem and this paper is described.

Chapter 1 – consists of the definition and elements of Hybrid Warfare. This chapter gives the definition of so-called "hybrid war" as defined by several authors. Elements of "Hybrid War" and historical excursion on Russia-Georgia example.

Chapter 2 - deals with the information war waged by Russia. The goals of the information war and and goals each action of the Kremlin serves. This chapter provides

specific narratives, by means of which spread of propaganda and misinformation throughout the public is done. The same chapter presents the potential threats to Georgia from Russia.

Chapter 3 - compiles data on the mechanisms of the Kremlin's information war in Georgia. The means of spreading of narratives by Russia are: media, pro-Russian political parties, clergy, cyber, non-governmental organizations.

In conclusion - a summarized and analysed research is provided; based on the literature and information used in the paper, a general summary and recommendations were made.

It is noteworthy that the facts and information presented in this paper determined the fact of the Russian hybrid war against Georgia. The essence of the information war and its goals were also revealed separately. It has been analysed why information warfare is a cornerstone of the Russian hybrid war strategy today. What resources it spends and by what means the Kremlin manages to achieve specific goals through propaganda and disinformation.

In the paper some real-life examples that provide a clear picture of Russian propaganda and disinformation has been discussed. The theme consistently brings together the whole picture from the essence of hybrid warfare, from its history. Before using specific mechanisms of information warfare. Specific narratives of Russian propaganda and disinformation are also presented. Those messages that are all around us and that are found very often, almost all the time.

It should be noted that this paper is a small contribution to the academic security. This study once again showed that bringing up security researchers, experts and public servant is important for Georgia.

This topic can be used in the future for both theoretical as well as practical training course preparation.

The issue of research is urgent, as the Russian hybrid, information war is recognized as a national and international threat. It is vital for Georgia to properly assess the threats, risks and challenges.

სარჩევი

შესავალი . . . . . 8 გვ.

I თავი: ჰიბრიდული ომის არსი და ისტორიული ექსკურსი რუსეთ–საქართველოს მაგალითზე . . . . . 10 გვ.

1.1 ჰიბრიდული ომის განმარტება და ელემენტები . . . . . 10 გვ.
1.2 რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ . . . . . 15 გვ.

II თავი: რუსეთის საინფორმაციო ომის არსი, მიზნები, ნარატივები და საფრთხეები საქართველოში . . . . . 18 გვ.

2.1 საინფორმაციო ომის არსი (პროპაგანდა და დეზიმფორმაცია) . . . . . 18 გვ.
2.1.1 პროპაგანდა . . . . . 19 გვ.
2.1.2 დეზინფორმაცია . . . . . 21 გვ.
2.2 რუსეთის საინფორმაციო ომის მიზნები . . . . . 24 გვ.
2.3 რუსეთის საინფორმაციო ომის ნარატივები . . . . . 26 გვ.
2.4 რუსეთის საინფორმაციო ომის საფრთხეები . . . . . 35 გვ.

III თავი: კრემლის საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები საქართველოში . . . . . 37 გვ.
3.1 კრემლის საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები საქართველოში . 37 გვ.
3.1.1 მედია საშუალებები . . . . . 39 გვ.
3.1.2 პრორუსული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები . . . . . 42 გვ.
3.1.3 არასამთავრობო ორგანიზაციები . . . . . 44 გვ.
3.1.4 ეკლესია (სასულიერო პირები) . . . . . 44 გვ.
3.1.5 კიბერ სივრცე . . . . . 48 გვ.

დასკვნა . . . . . 51 გვ.
გამოყენებული ლიტერატურა . . . . . .53 გვ.

შესავალი

მიზნები

• წარმოვაჩინოთ რუსული სიანფორმაციო ომისგან მომდინარე საფრთხე საქართველოს მიმართ, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი მასშტაბური და ძალიან მნიშვნელოვანი ნელემენტი;

• განვიხილო რუსული საინფორმაციო ომის კონკრეტული მაგალითები და მათზე დაყრდნობით ვისაუბროთ თუ რა საფრთხეებს წარმოადგენს საქართველოსთვის.

მეთოდები:

ამ ნაშრომში მოვახდენთ თეორიული მასალის განხილვას, ანალიზის და დასკვნების გამოტანაას. თემაში მოცემულია უახლესი ისტორიიდან

საინფორმაციო ომის, (კრემლის პროპაგანდა დეზინფორმაციის) რამდენიმე კონკრეტული მაგალითი – Case study, რომელიც დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში. ხოლო დასკვნებისა და რეკომენდაციების გასაკეთებლად ვიყენებთტ მონაცემთა ანალიზს.

პრობლემის აღწერა

ჰიბრიდული ომი რომელის აქტიური მწარმოებელია დღეს რუსეთი არის დიდი საფრთხე და დიდი დისკების მატარებელი როგორც საქართველოსთვის ასევე დასავლეთისათვის. სამწუხაროდ საქართველოში საკმაოდ მწირეა აკადემიური და პრაქტიკული ათვისება ამ სივრცეში რასაც უსაფრთხოება ეწოდება.

საფრთხეს წარმოადგენს ქვეყნისათვის რუსული საინფორმაციო ომი, რომელთანაც გამკლავება არის პრობლემა, რადგან არ არის საზოგადოებისა და სახელმწიფოს მზაობა კონსოლიდირებული წინააღმდეგობის გაწევის.

აქტუალობა

უკანასკნელ წლებში ჰიბრიდული ომისა და საინფორმაციო ომის აქტუალობა კი არ კლებულობს არამედ იზრდება. რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოში 2014 წელს უკრაინაში ასევე სირიაში ჰიბრიდული და საინფორმაციო ომის წარმოება დასავლეთისთვისაც კი გახდა აქტუალური საკითხი. დღისწესრიგში დადგა ჰიბრიდული მათ შრის განსაკუთრებულად საინფორმაციო ომის საკითხი. რუსეთმა გარკვეულწილად დახვეწა და აგრძალებს მეზობელი და დასავლეთის მიმართ აქტიურ საინფორმაციო ომის წარმოებას. საქართველოს მიმართ წარმოაბული საინფორმაციო ომი სუს–ის ანგარიშშც აისახე, შესაბამისად სახელმწიფომ ოფიციალურად აღიარა ჰიბრიდული საფრთხე.

აღნიშნულიდან გამომდინარე საინფორმაციო ომის საკითხი არის აქტუალური თემა.

პრაქტიკული მნიშვნელობა

აღნიშნული ნაშრომი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოკრძალებული წვლილი უსაფრთხოების მწირე აკადემიურ სივრცეში.

ასევე ამ ნაშრომის გამოყენება შეიძლება როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ სასწავლო კურსებში.

ეს ნაშრომი ჩემი ვარაუდით ხელს შეუწყობს უსაფრთხოების სფეროს პოპულარიზაციას

I თავი
ჰიბრიდული ომის არსი და ისტორიული ექსკურსი რუსეთ–საქართველოს მაგალითზე

ამ თავში გავეცნობით ჰიბრიდული ომის ბუნებას, სხვადასხვა მკვლევარების მიერ მოწოდებულ განმარტებებსა და განვიხილავთთ ჰიბრიდული ომის ელემენტებს. ასევე, ვისაუბრებთ რუსეთის მიერ საქართველოსტ წინააღმდეგ წარმოებულ ჰიბრიდულ ომზე.

1.3 ჰიბრიდული ომის განმარტება და ელემენტები

დღეისათვის, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშეც ვდგავართ, არის ომის სხვადასხვა ფორმას შორის განსხვავების ელიმინაცია და ის რისკები, რასაც ეს პროცესები ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურის საიმედოობას უქმნის.[1]

„ფრენკ ჰოფმანის თანამედროვე კონფლიქტების სხვადასხვა ფორმის ანალიზში ჰიბრიდული საფრთხეები შემდეგნაირად განსაზღვრავს: ჰიბრიდულია საფრთხეები, როდესაც ნებისმიერი მოწინააღმდეგე ერთდროულად იყენებს კონვენციური იარაღის, არარეგულარული ტაქტიკის, ტერორიზმის და კრიმინალური ქცევის შესაბამის კომბინაციას. ფრენკ ჰოფმანი იმასაც აღიარებს, რომ „ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრების პრობლემა ის არის, რომ ის ფოკუსირებულია სხვადასხვა ტაქტიკის კომბინაციაზე, რომლებიც ძალადობასა და ომთან (კრიმინალური ქმედებების გამოკლებით) არის ასოცირებული, მაგრამ საერთოდ არ მოიცავს სხვა, არაძალადობრივ ქმედებებს“.“[2]

ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით სიტყვა „ჰიბრიდი“ (Hybrid) ახსნილია როგორც: მიღებული პროდუქტი ორი ან რამოდენიმე სხვადასხვა რაღაცის შერევით (That is the product of mixing two or more different things). სიტყვა „ომი“ (War) ახსნილია როგორც: სიტუაცია როდესაც ორი ან მეტი

[1] ახვლედიანი 2019
[2] Hoffman, 2014

სახელმწიფო ან ადამინატა ჯგუფი ებრძვიან ერთმანეთს გარკვეული პოერიოდი, დროის განმავლობაში. (A situation in which two or more countries or groups of people fight against each other over a period of time).[3]

მაშასადამე რა არის ჰიბრიდული ომი? ეს არის ომის პროცესი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საშუალებებს სამხედრო, პოლიტიკური, დიპლომატიური, საინფორმაციო, კიბერ, ეკონომიკას ფაქტობრივად ეს არის ომი მართვადი ქაოსის მეშვეობით.

ჰიბრიდული ომის ასევე სხვა ტერმინებითაც მოიხსენიება, როგორიცაა "Grey Zone Strategies", "Competition short of conflict", "Active Measures" და "New Generation Warfare".[4]

2009 წელს აშშ–ის ერთობლივი ძალების სარდლობის მიერ შემუშავდა „ჰიბრიდულ საფრთხის" ადაპტირებული განმარტება: „მოწინააღმდეგე ერთდროულად და მოქნილად იყენებს პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ და საინფორმაციო საშუალებებს, კონვენციურ, ასიმეტრიულ, ტერორისტულ და კრიმინალურ საბრძოლო მეთოდებთან ერტობლიობაში" ეს განმარტება საინტერესოა იმითი, რომ ითვალისწინებს ერთდროეულად სახელმწიფო და კერძო მხარეების მოქმედებას პოლიტიკურ და სტრატეგიული მიზნების მისახწევად.

[3] Oxford Learner`s Dictionary
[4] Avdaliani 2020 7–12

ჰიბრიდული ომის მრავალბუნებოვნება – სწორედ ეს არის მისი განსხვავება ასიმეტრიული ომისაგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰიბრიდული ომი სცილდება სამხედრო კონფლიქტის კლასიკურ კონცეპტუალურ განზომილებას და გადადის სხვა მასშტაბებში. ხოლო ამ სივრცეში მხარეები იყენებენ კანონიერ თუ უკანონო, ოფიციალურ თუ არაოფიციალურ საშუალებებს ომის წარმოების.

ამერიკელმა მკლევარმა რასელ გლენმა სიღრმისეულად გაანალიზა ისრაელი–ლიბიის კონფლიქტი (2006 წელი) და გააკეთა აქცენტი ეკონომიკურ, დიპლომატიურ, ასევე კრიმინალურ, კატასტროფულ და ტერორისტულ მეთოდების გამოყენებაზე ჰიბრიდულ კონფლიქტში.

რუსმა გენერალმა მაჰმუტ გარეევმა 1995 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი, სადაც განმარტა, რომ ომის წარმოების ფორმა შეცვალა ტექნოლოგიურმა პროგრესმა. ასევე მნიშვნელოვან როლს ანიჭებს საინფორმაციო ომის წარმოებას. განმარტავს, რომ თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებით გაცილებით გამარტივდა მართვა დ აკონტროლი. ასევე ინფორმაციის შეგროვება გახდა უფრო სწრაფი. ის გამოყოფს ფსიქოლოგიური ოპერაციების განხოეციელებასა და პროპაგანდის გამოყენების გადამწყვეტ როლს მომავლის კონფლიქტებში.[5]

აღსანიშნავია 2013 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი რუსეთის გენშტაბის უფროსის, ვალერი გერასიმოვის მიერ. ნაშრომი სახელწოდებით „ახალი თაობის ომის

[5] ჩხეტიანი 2018

წარმოების მეთოდები“. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ ,,ახალი თაობის ომში‘‘ სამხედრო ძალა გამოყენებული იქნება ოფიციალური დეკლარირების გარეშე ანუ ფარულად.

დოქტრინის თანახმად, „ახალი თაობის ომი“ ელემენტებია:

ა) არ ხდება ოფიციალური ომის გამოცხადება. სამხედრო მოქმედებები იწყება მშვიდობიანობის პერიოდში. კონფლიქტი მეტად მოიცავს მცირე მასშტაბს ვიდრე ფარტომაშტაბს.
ბ) საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობენ სპეცდანიშნული რაზმის წევრები და სამოქალაქო პირები
გ) ბრძოლა მიმდინარეობს 3 + 1 სივრცის გამოყენებით. ხმელეთზე, წყალზე, ჰაერში და საინფორმაციო ველზე.[6]

„ჰიბრიდული ომი“ წარმოადგენს ომის წარმოების სახეცვლილ აღქმას. ანუ თანამედროვეობაში, გლობალიზაციის პერიოდში ომის წარმოებაც გახდა უბრალოდ გლობალური. მოხდა გააზრება, რომ შესაძლებელია არა მარტო სამხედრო არამედ ბევრი სხვა სივრცის გამოყენება ომისთვის.

“სტრატეგიული კვლევითი ცენტრის, RAND Corporation-ის პუბლიკაციაში “Understanding Russian Hybrid Warfare” აღნიშნულია, რომ რუსეთის ხელისუფლება ჰიბრიდულ ომს რიგი პოლიტიკური ინტერესების მისაღწევად იყენებს: შეიტანოს

[6] ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში 2017

განხეთქილება და დაასუსტოს ნატო, ძირი გამოუთხაროს პროდასავლურ მთავრობებს, შექმნას ომის წინაპირობა, მოახდინოს ტერიტორიების ანექსია მისთვის დიდწილად დაკეტილ ევროპის ბაზრებზე." [7]

აქვე უნდა აღინიშნოს NATO-ს დამოკიდებულება ჰიდრიდულ ომთან და რუსეთთან როგორც ერთ–ერთ უმთავრეს შემოქმედი ჰიბრიდული ომისა. ჰიბრიდულ ომს, როგორც ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევას და ნატოს სტრატეგიული კონცეფციათავის ახწერს ანი ახვლედიანი სამაგისტრო ნაშრომში ახწერს, „„ნატო, თავის მხრივ ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა და უთმობდა ჰიბრიდული ომის თემას, ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ვარშავისა და უელსის სამინიტები და იქ შემუშავებული სტრატეგია და დეკლარაციები. ვარშავის სამიტზე სამიტის ჩატარება განაპირობა, იმ ძირითადმა გამოწვევებმა, რაც სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებისაგან მომდინარეობდა სამხედრო, ტერორისტული, კიბერ და ჰიბრიდულ სფეროებში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რუსეთის მიერ გახორციელებულ აგრესიულ ქმედებებს, ასევე, ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში არსებულ უსაფრთხოების გარემოს და მათ გავლენას ნატო-ს წევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებაზე. ვარშავაში შემუშავდა დეკლარაცია, რომლის თანახმად, 2017 წლის დასაწყისიდან ბალტიისპირა ქვეყნებსა (ლიეტუვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთში განათავსდა ნატოს ბატალიონის ზომის 4 სამხედრო ქვედანაყოფი, რომლებიც ადგილობრივ სამხედრო ქვედანაყოფებთან შეთანხმებულად მოქმედებენ . აღნიშნულ

[7] Chivvis

გადაწყვეტილებამდე კი ჩატარდა ნატო-ს 2014 წლის უელსის სამიტი, სადაც დაამტკიცეს მზადყოფნის სამოქმედო გეგმა (Readiness Action Plan - RAP), რომელის მიღებაც, ასევე რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და მათი სტრატეგიული გავლენის საპასუხოდ მოხდა.“[8]

1.2 რუსული ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ

„2020 წელს საქართველოს ეროვნული ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნების სპეციალური სამსახურების აქტიურობა კვლავ მთავარი გამოწვევა იყო. დაფიქსირდა ფარული ოპერაციების, კიბერშესაძლებლობებისა და ე.წ. ჰიბრიდული ომის ინსტრუმენტების გამოყენების მცდელობა პოლიტიკური, სამხედრო, სოციალურ- ეკონომიკური, იდეოლოგიური და სხვა სახის ზეგავლენის ბერკეტების მოსაპოვებლად“, – აღნიშნულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშში.[9]

გენერალ გერასიმოვის დოქტრინის შემდგომ ჰიბრიდულ ომზე ღიად დაიწყო საუბარი თუმცა რეალურად ასეთი ომის წარმოების ხერხებს რუსეთი დიდი ხანია მიმართავდა საქართველოში და არა მარტო.

დღემდე რუსეთი იყენებს და ხვეწავს ჰიბრიდული ომის წარმოების პროცესს. შეიძლება ითქვას ეს არის ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ეტაპები,

[8] ახვლედიანი 2019
[9] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2020

რომლებიც ხასითდება კონკრეტულ დროს კონკრეტული ომის წარმოების მექანიზმის გააქტიურებით.

დღესდღეობით ასეთი გამოკვეთიმი მექანიზმებიაა ბორდერიზაცია და საინფორმაციო ომი, ისტორიის გაყალბება, პერმანენტული ომი, კონკრეტულად პროპაგანდა დეზიმფორმაცია, კიბერ შეტევები, ე.წ. მეხუთე კოლონის აქტიური მოქმედებები და სხვა.

რუსული იმპერიალიზმის მსხვერპლი გახდა ქართული სამეფოები ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. შემდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკა 1921 წელს. შემდეგ იყო საბჭოთა პერიოდი და საბჭოთა კავშირის დაშლა. საქართველოს დამოუკლიდებლობის აღდგენა და 1990–იანი წლები, რუსეთის წაქეზებით გაღვივებული კონფლიქტები (1991–1993 წ.წ.). 2008 წელის აგვისტოს 5 დღე, საქართველო–რუსეთის ომით დაგვირგვინდა, რომელსაც წინ უწღვოდა რუსეთის პროვოკაციული ქმედებები ეკონომიკური ემბარგო, საბოტაჟი, ტერორიზმი, ქართველების დეპორტი. 2008 წლის შემდეგ ისევე როგორც ომის დროს აქტიური საინფორმაციო ომი და კიბერ შეტევები.

ლატვიის ეროვნული სამხედრო აკადემიის მიერ ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმადაც „მთავარი ამოცანა არის სამხედრო ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმამდე შემცირება იმით, რომ ოპონენტის სამხედრო და სამოქალაქო მოსახლეობას უბიძგო, მხარი დაუჭიროს თავდამსხმელს საკუთარი ხელისუფლების და ქვეყნის საზიანოდ“. ამის საუკეთესო მაგალითი კი არის, რუსეთის სამხედრო ოპერაცია ყირიმში. მათ მოახერხეს გაეტეხათ

მოწინააღმდეგის სამხედრო ძალების მორალური სული ისე, რომ მიზნის მისაღწევად საჭირო აღარ გახდა უხეში ძალის გამოყენება.“[10]

ამ თავის შესაჯამებლად შეიძლება ითქვას, რომ „ჰიბრიდული ომი“, როგორც ტერმინი ახლახანს გაჩნდა, მაგრამ თავად კონცეფცია ნამდვილად არ არის ახალი [11] და ძველი ომები მოყოლებული დღევანდელ დღემდე ხშირად გამოიყენებოდა [12] . საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი იყენებს უკვე კარგად გამოცდილ და აპრობირებულ სტრატეგიასა და მეთოდებს, რომლებიც აღიარებული და დადასტურებულია საერთაშორისო თანამეგობრობისა და სახელმწიფო უწყებების მიერ.

[10]Berzins, J., 2014 წ 04, P4
[11] Mansoor, P. R. (2012), P 8-9
[12] Lacey, J. (2012).P 15-18

II თავი:

რუსეთის საინფორმაციო ომის არსი,

მიზნები, ნარატივები და საფრთხეები საქართველოში

ეს თავი დათმობილია რუსული ჰიბრიდული ომის ერთ კონკრეტულ ელემენტს– საინფორმაციო ომს. განხილულია საინფორმაციო ომის არსი, მიზნები, ამ მიზნების განხორციელების გზები და საქართველოსთვის კრემლის მიერ წარმოებული საინფორმაციო ომის საფრთხეებს.

2.1 საინფორმაციო ომის არსი (პროპაგანდა და დეზიმფორმაცია)

საინფორმაციო ომი არის – ჰიბრიდულ ომის წარმოების ერთ–ერთი მექანიძმია რომელიც დღენევდელ გლობალიზაციის და ტექნომოგიურ პროგრესში არის უაღრესად მნიშვნელოვანი.

საინფორმაციო ომი არის **მოწინააღმდეგის სრული დემორალიზების ეფექტური მექანიზმი. აქ როგორც სამხადრო ასავე სამოქალაქო პირები მოიაზრებიან.**

საინფორმაციო ომის წარმართვა ხდება **დეზინფორმაციის** და **პროპაგანდის** გავრცელებით რომელშიც ჩართულია:

- მედია საშუალებები (ტელევიზია, რადიო, ინტერნეტ–მედია გამომცემლობა, ბეჭდური მედია)
- სოციალური ქსელები (Face Book, Twitter, VKontakte და სხვა)
- ე.წ. „მეხუთე კოლონა“ – პრორუსული ოპოზიციური პარტიები
- არასამთავრობო ორგანიზაციები (პრორუსული)
- ეკლესია (საეკლესიო პირები)
- კიბერ სივრცე

მაშასადამე, საინფორმაციო ომის წარმოება ხდება ყველა ამ საშაუელების გამოყენებით მათი ათვისებით. საინფორმაციო ომის მწარმოებლის მიერ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის სახით ხდება წინასწარ განსაზღვრული პირთა წრის მიმართ, სწორედ შერჩეული და დამუშავებული ინფორმაციის, ნარატივების მიწოდება. ეს მესიჯები ახდენს ცნობიერებაზე ზეგავლენას და მცდარი აზრის ჩამოყალიბებას. ასევე რიგ შემთხვევაში აჩენს უნბობლობას და როგორც შედეგი განხეთქილებას საზოგადოებაში.

2.1.1 პროპაგანდა

პროპაგანდა (ლათ. Propaganda – გავრცელება) – „ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე

ზემოქმედების მიზნით. აუდიტორიის დასარწმუნებლად პროპაგანდისტებმა შეიძლება განსხვავებული მეთოდები გამოიყენონ, თუმცა ისინი ერთი საერთო ნიშნით ხასიათდებიან - აუდიტორიის ღირებულებების და რწმენისკენ არის მიმართული".[13]

„პროპაგანდა არის აუდიტორიაზე იდეოლოგიური და პოლიტიკური შეხედულებების, ღირებულებების, წარმოდგენების, ემოციების, იდეოლოგიების ფორმირების გავრცელება, ადამიანისა და საზოგადოების ქცევაზე გავლენის მოხდენის მიზნით".[14]

შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროპაგანდა არის მიზანმიმართული და სისტემატური მცდელობა, ჩამოაყალიბოს პირს ან პირთა ჯგუფის აღქმა, შეცვალოს შემეცნება და ქცევა, რათა მიაღწიოს თავის განზრახულ მიზანს.
არსებობს: თეთრი, შავი ან ნაცრისფერი პროპაგანდის ტიპები

- **თეთრი** - "თეთრი" პროპაგანდა მოდის წყაროდან, რომელიც სწორად არის განსაზღვრული და შეტყობინებაში არსებული ინფორმაცია ფაქტობრივად ზუსტია. მიუხედავად ამისა, თეთრი პროპაგანდისტული შეტყობინებები ხასიათდება მიკერძოებული „მსჯელობით" და ხშირად მიზნად ისახავს წყაროს სანდოობის ამაღლებას;
- **შავი** - "შავი" პროპაგანდა უხილავია და გააჩნია ყალბი წყარო. ის ავრცელებს სიცრუეს და სიყალბეს. შავ პროპაგანდისტებს არ აღელვებთ

[13] სამოქალაქო განათლების ლექსიკონი
[14] პროპაგანდა და მისი გავლენა მსოფლიოში

სიმართლე: აქტიურად ავრცელებენ ტყუილს. უფრო მეტიც, შავი პროპაგანდისტები უყოყმანოდ უყოყმანოდ იყენებენ დარწმუნების სხვადასხვა მეთოდებს შედეგის მისაღწევად.

- **ნაცრისფერი** - "ნაცრისფერი" პროპაგანდა იმყოფება შავ და თეთრ პროპაგანდას შორის. ინფორმაციის სისწორე და წყაროს ვინაობა შეიძლება იყოს ცნობილი ან უცნობი.[15]

2.1.2 დეზინფორმაცია

დეზინფორმაცია - ყალბი ინფორმაციის მიზანმიმართული და გამიზნული გავრცელება. ეს ტერმინი გამოიყენება ორგანიზებული პროცესის გამოსახატავად. დეზინფორმაციის გავრცელების დროს, ხდება წრუ ინფორმაციის, ამბის გამიზნულად გავრცელება საზოგადოებაში და ამ ინფორმაციის მართალ, რეალურ ფაქტებად ანდა ინფორმაციად გასაღება.

„ბოლო წლების განმავლობაში, ეს ტერმინი განსაკუთრებით გახდა დაკავშირებული სოციალურ მედიაში "ყალბი ამბების" გავრცელებასთან, როგორც ნეგატიური პოლიტიკური კამპანიის სტრატეგია.“[16]

ყალბი ახალი ამბავი შეგვიძლია მივიჩნიოთ პროპაგანდის შემადგენელ ნაწილად ან განცალკევებით მდგომი საინფორმაციო ომის ცალკეული საშუალებად.

[15] გვარაძე 2020
[16] რა არის დეზინფორმაცია? განმარტება და მაგალითები

დეზინფორმაცია (ყალბი ამბავი) არის მასობრივი საინფორმაციო, მედიით, სოციალური ქსელებით ან სხვა საშუალებით გავრცელებული სიცრუე/ტყუილი, რომელიც მიზნად ისახავს გამავრცელებლის (დამკვეთის/დაინტერესებული მხარის) პოპულარიზაციას ან/და ემსახურება კონკრეტული პოლიტიკური ან არაპოლიტიკური ჯგუფის მიერ განსაზღვრული მიზნების მიხწევას. აღსანიშნავია, რომ ყალბი დეზინფორმაციულ მესიჯებში არსებული ინფორმაცია, ამბავი, მესიჯი ხშირად ცალსახად ტყუილს არ ეფუძნება და სიმართლის ელემენტებიც შეიძლება იყოს. სწორედ ამიტომ, ყალბი ამბები არა მხოლოდ აუდიტორიის სიცრუეში შეყვანას, არამედ მათი დაბნევის მიზანსაც ემსახურებოდეს.

დეზინფორმაცია დღესდღეისობით ძალიან დიდი რაოდენობით ვრცელდება მსოფლიოში, რასაც თავისი განმაპირობებელი ფაქტორები აქვს:

- **აუდიტორიის ნდობა: თუ ხდება** რეპუტაციის შელახვა დეზინფორმაციით (ცრუ ინფორმაციით) ასეთი ცრუ ინფორმაციის გაქარწყლებას სჭირდება დაგეგმილი კამპანია ნდობის აღსადგენად. ნდობა დაკარგული სამიზნე აუდიტორიის ნდობის აღდგენა არის საკმაოდ რთული რადგან მათი ყურადღება მიმართულია უკვე დამახინჯებული ამბისკენ.

- **ლოჯისტიკა -** გლობალიზაციისა და ტექნოლოგიის ეპოქაში ინფორმაციის გავრცელება შესაძლებელია წამებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ინტერნეტი, სოციალური ქსელი არის ამის ერთ–ერთი მარტივი და ეფექტური საშუალება.

- **რეგულირება - ყველა ცრუ ინფორმაციის, დეზიინფორმაციის** იდენტიფიცირება და კონტროლი არის რთული. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი ნიუსების რაოდენობა ბევრია და ისინი შინაარსობრივად ძალიან განსხვავდებიან. შესაძლებელია სასამართლო დავა ცრუ ამბის გამავრცელებელთან მაგრამ საკმაოდ რთულია საწყისი წყაროს მიგნება და ამ პროცესის დროს გამავრცელებელი ასწრებს საკმარისად გაავრცელოს ცრუ ინფორმაცია.

პირობიტან დეზინფორმაცია, ცრუ, ყალბი ამბავი შეგვიძლია დავყოთ რამოდენიმე სახეთ:

- **ინფორმაცია, სადაც სიმართლე რთული დასადგენია** - ამ შემთხვევაში ინფორმაციის გადამოწმება არის ძალიან რთული ფაქტიურად შეუძლებელია ინფორმაციის მიმღებისთვის.

- **დეზინფორმაციის გავრცელება უბოროტო განზრახვით** -მაგალითად დეზინფორმაცია შექმნილი რეკლამისათვის. ტურუსტული ან კომპანიის იმიჯისათვის.

- **შერჩეული ინფორმაციის გავრცელება** - ხდება პირველწყაროს მიერ გავრცელებული ამბის დამახინჯება ხელოვნურად. ამოღებული ფრაზები, ფრაგმენტული ვიდეოები, შემოკლებული აუდიო ჩანაწერები და ა.შ.

- **განზრახ შეცდომაში შემყვანი ამბავი** - მიზანმიმართულად შექმნილი და გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც დისკრედიტაციისკენ არის მიმართული;

- **რეალურ ფაქტად აღქმული ხუმრობა** - იუმორისტული მიმართულების ცრუ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ზოგ შემთხვევაში რეალურ ინფორმაცია აღიქმება, როგორც რეალური ფაქტი;

უნდა ავღნიშნოთ, რომ ყალბი ინფორმაციების/დეზინფორმაციისასე დაყოფა არის საკმაოდ პირობითია. უმეტესად, დეზინფორმაცია გავრცელების დროს რამდენიმე ზემოთ ჩამოთვლილის სინთეზს წარმოადგენს.[17]

2.2 რუსეთის საინფორმაციო ომის მიზნები

რუსულ საინფორმაციო ომის მიზნებია:

- შეასუსტოს პტო–დასავლური განწყობები საქართველოს მოსახლეობაში –„საქართველო არასოდეს გახდება ევროკავშირის /ნატოს წევრი“;
- უკრაინის დისკრედიტაცია – „მეიდანი ორგანიზებული იყო ფაშისტების მიერ, რომელთაც მხარს უჭერდა დასავლეთის დაზვერვის სამსახურები“;

---

17 რა არის ყალბი ახალი ამბავი

- აშშ–ის დისკრედიტაცია – „ტერორისტული აქტი 9/11 ორგანიზებული იყო აშშ–ს სადაზვერვო ბიუროს მიერ“, „აშშ–ის საგარეო პოლიტიკა იმართება მასონების მიერ“;
- ნატოს–ს დისკრედიტაცია – „ნატო განალაგებს სამხედრო ბაზას საქართველოში და გამოიყენებს მას როგორც „ფარს“ რუსეთის წინააღმდეგ“;
- ევოკავშირის დისკრედიტაცია – „ევროკავშირი მეტი აღარ არის ეფექტური“, „ევროკავშირის ქვეყვებში მხოლოდ დარბევები და დემონსტრაციებია“ „ევროკავშირი მალე დაიშლება“
- ნიჰილიზმისა და კონსპირაციული თეორიების გაღვივება – „პოლიტიკოსებს აქვთ მხოლოდ საკუთარი ინტერესები“;
- რუსეთის საგარეო პოლიტიკის დადებით კონტექსტში გამოჩენა – „რუსეთი არ არის იდეალური სახელმწიფო, მაგრამ მისი პოლიტიკა არის ნაკლებად აგრესიული ვიდრე დასავლეტის პოლიტიკა.“[18]
- სიტუაციის შერყევა და კრიზისის ინსპირირება მსხვერპლ სახელმწიფოში;
- ქვეყნის დეგრადაცია, გაღატაკება და დაშლა;
- აგრესორისთვის სასურველი პოლიტიკური ხელისუფლების მოყვანა სამიზნე ქვეყნის სათავეში.
- ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაღვივება;
- საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა

[18] Julukhidze 2020 13–19

- საზოგადოების დემორალიზაცია
- ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე რადიკალიზაციის ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ახალისებს საზოგადოებაში დეზინტეგრაციული პროცესების განვითარებასა და აღრმავებს პოლარიზაციას.
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შეფერხება/შეჩერება,
- საზოგადოებაში საქართველოს ძირითადი პარტნიორების მიმართ უნდობლობის გაღვივება (მაგალითად აშშ-ის, ევროკავშირის მიმართ),
- დასავლური ღირებულებების დაკნინება, მათი საფრთხედ წარმოჩენა ქართული კულტურისთვის
- საზოგადოებაში ქაოსის და შუღლის გაღვივება
- პოლიტიკური დღის წესრიგის შექმნაზე გავლენის მოხდენა.[19]
- საზოგადოების პრო-დასავლური განწყობების ეროზიაა.[20]
- "დასაყრდენი ჯგუფების" შერჩევა და მათი გამოყენება

2.3 რუსეთის საინფორმაციო ომის ნარატივები

დღეს, საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება, რომ რუსული პროპაგანდა არის გლობალური გამოწვევა. უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში ჩვენ დავრწმუნდით თუ როგორ არის შესაძლებელი სწორად გადეგმილი

[19] ქევანიშვილი 2019

[20] დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი საბოლოო მოხსენება

დეზინფორმაციული კამპანიით მიღწეულ იქნეს სტრატეგიული მიზნები: საზოგადოებრივი აზრის ფორმირება, პოლიტიკური პოლარიზების გაზრდა, არჩევნებზე ზემოქმედება, ოპონენტების დემონიზირება, სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის ძირის გამოთხრა, ნიჰილიზმის გაძლიერება და დემოკრატიის დამხობა.

უნდა აღინიშნოს, რომ კრემლის სადეზინფორმაციო კამპანია საქართველოში გაცილებით ადრე მუშაობრა ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში. მაგალითისთვის 2008 წლის ომი, რომლის განმავლობაშიც ომამდე და ომის შემდგომ პერიოდში რუსული კამპანია აქტიურ რეჟიმში ფუნქციონირებდა. სხვადასხვა პროპაგანდისტული მესიჯების გარდა, ხდებობა კრემლის მიერ კონტროლირებადი კიბერ შეტევები საქართველოს სახელმწიფო გვერდებძე და ინტერნეტ სერვერებზე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო კარგად დაგეგმილი და ორგანიზებული ჰიბრიდული ომი სპეც. ოპერაცია საქართველოს წინააღმდეგ.

2008 წლის შემდეგ, რუსეთმა შეცვალა ტაქტიკა და გააუმჯობესა „კრემლის ჰიბრიდული მეთოდოლოგია“. პროპაგანდის გამოყენების მნიშვნელობა დრამატულად გაიზარდა ინტერნეტის და მასმედიის გლობალიზაციასთან ერთა. შესაბამისად ამ სისტემების ტრანსფორმაციამ შექმნა შესანიშნავი საფუძველი რუსეთისთვის საქართველოში.

რუსეთის ჰიბრიდული ომის ყველა შემადგენელი ასპექტი – დუგინის იდეოლოგიური ნარატივები, პანარინის აგრესიული მეთოდები, პუტინის რბილი

ძალა და გერესიმოვის დოქტრინის ელემენტები იყო გამოყენებული საქართველოში.

რუსული დეზინფორმაციის კამპანიის მთავარი ნარატივები ასეთია:

- „დასავლეთი სუსთია და გარყვნილი“.
- „დასავლური იდეოლოგია შეუთავსებელია ქართულ ნაციონალურ იდენტობასთან და აქაურ ტრადიციებთან“.
- „ამერიკელები და ევროპელები არ დარდობენ ისეთ პატარა ნაციებზე როგორიც არის საქართველო!“
- „ერთსქესიანთა ქორწილება იქნება ლეგალიზებული ევრო–ატლანტიკურ ინტეგრაციის გამო!“
- „ასობით ათასი ემიგრანტი იქნება გამოზგავნილი საქართველოში ბრუსელის მიერ!“
- „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია იქნება თავდასხმის ქვეშ!“
- „ნარკოტიკები გახდება ლეგალური!“
- „ამერიკელები და ევროპელები არ ზრუნავენ ოჯახურ ღირებულებებზე!“
- „დემოკრატია მეტი აღარ მუშაობს!“
- „ნატო ემზადება ომისთვის რუსეთთან!“
- „ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები არის ეფექტური მექანიზმი ქაოსის გავრცელების“[21]

[21] Julukhidze 2020 13-19

- ამერიკელები კლავენ საქართველოს მოქალაქეებს საიდუმლო ლაბორატორიაში

ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკა – გამოიკვეტა ორი ძირითადი ნარატივი:

• <u>ევროპა არის არასაიმედო პარტნიორი:</u> გზავნილები რომლებიც ცდილობენ ხაზი გაუსვან ევროპული ინტეგრაციის უპერსპექტივობას. „საქართველოს ეგრეთწოდებული პარტნიორების მიერ რუსეთის ინტერესების საქართველოზე მაღლა გარდაუვალ დაყენების შესაძლებლობის რეალურობას";

• <u>გარყვნილი ევროპა:</u> გზავნილები, რომლებიც დაფუძნებულია ღირბულებებზე. ამტკიცებს, რომ ქართული ღირებულებები შეუთავსებელია ცხოვრების ევროპულ სტილტან, მათ ღირებულებებთან. აქედან გამომდინარე, ევროკავშირში ინტეგრაცია ქართული ღირებულებებისთვის წარმოადგენს საფრთხეს. [22]

ევროკავშირის წინააღმდეგ დეზინფორმაცის მაგალითები

ევროინტეგრაცი ს პროცესის შეფერხების და ევროკავშირის დისკრედიტაციის მიზნით „„ნიუსფრონტმა", გულბაათ რცხილაძის, პრორუსული ორგანიზაცია „ევრაზიული ინსტიტუტის" დამფუძნებლის, სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით,საქართველოში კორონავირუსის გავრცელება

[22] დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი საბოლოო მოხსენება

ასოცირების ხელშეკრულებას დააბრალა.“ აქვე განვმარეთავთ, რომ ამ სტატიის გავრცელების მომენტისთვის COVID-19 ჯამო–მ აღიარა პანდემიად და ის გავრცელებული იყო 172 ქვეყანაში (2020 წლის მაისი მონაცემი), შესაბამისად არანაირი ხელშეკრულების და ვირუსის გავრცელების პარალელზე საუბარი არ შეიძლება. კიდევ ერთი მაგალითი „Facebook-გვერდი „პოლიტიკანოც“. გვერდზე გამოქვეყნდა ფოტო შემდეგი წარწერით: „აშშ: ბანკებს აძლევს 1.5 ტრლნ დოლარს; დიდი ბრიტანეთი: ცდილობს “კოლექტიური იმუნიტეტის” შექმნას; იტალია: ჩამოიშალა. ამის საპირისპიროდ: ჩინეთი: აშენებს საავადმყოფოებს; კუბა: ავრცელებს ანტივირუსულ წამლებს; ვიეტნამი: შექმნა სწრაფი ტესტები კორონავირუსზე; ჩრდილო კორეა: ამოწმებს მოგზაურების ჯანმრთელობას. „ჯანდაცვა სწორია მხოლოდ სოციალიზმში“!“ ეს ინფორმაციაც არ შეესაბამება სიმართლეს და არის ცალსახად დეზინფორმაციია.[23] რეალობა გავრცელებული ინფორმაციის საპირისპიროა ანუ აშშ და ბრიტანეთი ქმნიან ვაქცინას/წამალს, ხოლო კუბა ვიატნამი, კორეა არაფერს მსგავს.

ნატო-ს საწინააღმდეგო რიტორიკა – კრემლისთვის საქართველოს ნატო–ში გაწევრიანებს არდაშვება უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზანია, შესაბამისად დეზინფორმაცია უფრო მრავალფეროვან გზავნილებს მოიცავს:

[23] როგორ იყენებს კრემლი კორონავირუსს დეზინფორმაციის გასავრცელებლად

• <u>დასავლეთი არ არის საიმედო პარტნიორია:</u> ამ ნარატივის გამყარებისათვის აპელირება ხდება 2008 წლის ომზე. თითქოს და დასავლეთმა საქართველოს დაცვის საქმეში უუნარობა გამოავლინა.

• <u>ნატო საფრთხეს უქმნის საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას:</u> მცდელობა ცრუ დილემის ჩამოყალიბებისა. თითქოს და ნატო-ში ინტეგრაცია უქმნიდეს საფრთხეს ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას და პირიქით, ინტეგრაციაზე უარის თქმა იყოს საწინდარი ოკუპირებულ ტერიტორიების დაბრუნებისა - ან ნატო ან ტერიტორიული მთლიანობა.

• <u>ნატო - აგრესორი:</u> ნატო წარმოჩენილია როგორც არგესორი ორგანიზაციაა.

„ანტი-ამერიკული დეზინფორმაცია და პროპაგანდა ხშირად შენიღბულია და ირიბ ხასიათს ატარებს. შესაბამისი გზავნილები კი ხშირად დეზინფორმაციის სხვა ნაკადებით ვრცელდება:

• გამოვლენილ შემთხვევათაგან ერთ-ერთი აშშ-ს მიერ ქრისტიანობის წინააღმდეგ წამოწყებული ომის შესახებ შეთხზული შეთქმულების თეორების გავრცელებაა (რომლებშიც რუსეთი ქრისტიანობის დამცველის როლს თამაშობს);

• სხვა შემთხვევაში ერთად იკვრება ფარული გზავნილები, რომლებიც ამერიკას, როგორც მსოფლიო ჰეგემონს, მსოფლიოსთვის რუსეთზე გაცილებით მეტი უბედურებისა და ნგრევის მოტანაში სდებს ბრალს.“[24]

[24] დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი საბოლოო მოხსენება

აშშ-ის და ნატო–ს წინააღმდეგ დეზინფორმაცია

პანდემიისი პერიოდში აქტუალურია ვირუსის გავრცელების და მასთან დაკავშირებული საფრთხეებიტ მანიპულირება, შესაბამისად არც აშშ–ის და ნატო–ს წვრთნებს ჩაუვლიათ ასეთი დეზინფორმაციის გარეშე. „„საქინფოს“ მთავარი რედაქტორის, არნო ხიდირბეგიშვილის მტკიცებით, 70 წლის განმავლობაში სსრკ-ში მეგობრულად ცხოვრობდნენ და დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად საქართველო აშშ-ს კოლონიად გადაიქცა, მის რეალურ მმართველად კი - აშშ-ის ელჩი, კელი დეგნანი, იქცა.“

მისი მტკიჩებიტ, ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსთან დაგეგმილი სწავლება „Defender Europe 2020” არის დიდი საფრთხის მატარებელი საქართველოსთვის რადგან ქვეყანაში ჩამოდის 14 000 სამხედრო მოსამსახურე და ისინი CODIV ინფექციით იქნებიან დაავადებულები. „არნო ხიდირბეგაშვილის მიერ გავრცელებული კონსპირაციები სრულად თანხვედრაში მოდიოდა კრემლის პროპაგანდასთან. ჯერ კიდევ 2020 წლის თებერვალში ლიეტუვაში რუსული პროპაგანდა ავრცელებდა ყალბ ამბავს, თითქოს ლიეტუვაში მყოფი აშშ-ს ჯარისკაცი კორონავირუსით იყო დაავადებული.“

პროპაგანდა ლუგარის ლაბორატორიის შესახებ

რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის სამიზნე უკვე წლებია რაც საქართველოში არსებული კავკასიის რეგიონში ერთადერთი რიჩარდ ლუგარის

სახელობის დაავადებათა გამოვლენიდა და მათი კონტროლი ცენტრი გახდა. საქართველოში კორონა ვირუსის გავრცელების დღიდან, დაავადების გამოვლენა სწორედ ლუგარის ცენტრისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მუშაობის შედეგად ხდება.

„კრემლი ერთი მხრივ კორონავირუსთან ბრძოლის კონტექსტში ლაბორატორიის მნიშვნელობის შესუსტებას ცდილობს და, მეორე მხრივ მისი რეალური ფუნქციების შესახებ ეჭვებს გამოთქვამს.

„ნიუსფრონტი“ რუსული პროპაგანდის ერთ-ერთ სტრატეგიულ ნარატივს იმეორებს, რომლის მიხედვითაც ლუგარის ლაბორატორიაში ბიოლოგიურ იარაღს ამზადებენ.“

„2018 წელს ლუგარის ლაბორატორიასთან დაკავშირებით რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების მეთაურმა, გენერალმა იგორ კირილოვმა განაცხადა, რომ აშშ საქართველოში მოქმედ ლაბორატორიებს საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევებით იყენებდა ბიოლოგიური იარაღის აგენტების შესაქმნელად და გამოსაყენებლად. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა მარია ზახაროვამ კი ერთ-ერთ ბრიფინგზე განაცხადა, რომ საქართველოში მოქმედი ბიოლაბორატორია წარმოადგენდა რუსეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებში აშშ-ის მიერ სამხედრო-სამედიცინო ინსტიტუტების შექმნის მაგალითს, სადაც სამხედრო პერსონალი

სამედიცინო ეთიკისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, ექსპერიმენტებს ატარებს მოქალაქეებზე.“

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმაც კი გააკეთა კომენტარი ამ თემაზე და განაცხადა, რომ ლაბორატორიაში არსებული კვლევები უკავშირდება გენეტიკას და გარკვეული პრეპარტატების შექმნას, რომლებსაც შეუძლიათ ადამიანებზე ზეგავლენა მათი ეთნიკური თუთვნილებიდან გამომდინარე.

„სინამდვილეში, ლაბორატორიის საქმიანობა მოიცავს ინფექციურ და არაინფექციურ დაავადებებზე ეპიდემიოლოგიური და ლაბორატორიული ზედამხედველობის განხორციელებას, დაავადებათა შემთხვევების, ეპიდემიური აფეთქებებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა საფრთხეების დროულ აღმოჩენასა და კვლევას. კორონავირუსის პანდემიის დროს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ლუგარის ცენტრის მნიშვნელობა. საქართველოში სწორედ ამ ცენტრის დახმარებით ხდება დაავადების დროული გამოვლენა.“

ეს არის მხოლოდ სულ რამოდენიმე მაგალითი რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის. თუმცა ადვილი მისახვედრია თუ რაოდენ კომპლექსური და დიდი მუშაობის პროცესია ეს. შესაბამისად ეს პროცესი მოიცავს მეორე ფაზასაც საინფორმაციო ომის, ე.წ. ალტერნატივის შემოთავაზება. „პოტენციურად მძიმე შედეგების“ გამო კრემლი სთავაზობს საქართველოს უნიკალურ ალტერნატივას – კონსერვატიული და ტრადიციული სახელმწიფოებრივ მოდელს. ეს არის „რუსული სამყარო“ („Русский Мир“) რომელიც იქნება თავისუფალი „დასავლური

ტენდენციებისაგან“. მეორე ფაქტორი არის რუსული „ უდანაშაულო ბუნება“ მოსკოვი ვალდებულია მოახდინოს რეაგირება დასავლეთის მცდელობებზე, ქვეყნის დაპყრობაზე. აი ამიტომ გზავნის მოსკოვი თავის ჯარისკაცებს სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიაზე. თავდაცვა არის რუსეთის ერთადერთი მამოძარავებელი მიზანი რადგან დასავლეთი ყველანაირად ცდილობს „რუსეთის სრულ განადგურებას“. მსგავსი ნარატივი გაავრცელა კრემლმა საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დროს. „ამერიკელებმა მოახდინეს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის შეგულიანება ხუთ დღიან ომზე ცხინვალის რეგიონთან, და ამ შემთხვევაში რუსეთი როგორც მსოფლიო ძალა, "ვალდებული, იძულებული იყო ეპასუხა“. მეტიც, ზოგიერთი პრორუსული ექსპერტი თვლის რომ „მოსკოვი გულუხვიც კი იყო როდესაც სამხედრო რეაგირებისას, არ დაიპყრო დედაქალაქი თბილისი“. [25]

2.4 რუსეთის საინფორმაციო ომის საფრთხეები

კრემლის პროპაგანდის და დეზინფორმაციის საფრთხეები საქართველოსთვის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი წერს, რომ თუ საქართველოს მთავრობა ვერ შეძლებს კრემლის პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევას მაშინ:“

[25] დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი საბოლოო მოხსენება

1. საფრთხე შეექმნებ საქართველოს დასავლეთისაკენ მიმართულ კურსს. იქიდან გამომდინარე რომ საინფორმაციო ომის ზემოქმედეიტ შეიძლება შესუსტდეს ევროპული და ევრო–ატლანტიკური ინტეგრაციისადმი საქართველოს მოქალაქეების მხარდაჭერა;
2. საფრთხე შეექმნა საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს. გარე და შიდა მტრულ ძალებს, ექმნებათ შესაძლებლობა მოახდინონ გავლენა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ჩაერიონ ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში.
3. საფრთხე ექმნება ქვეყნის დემოკრატიას. რუსული პროპაგანდის ზეგავლენით ქვეყნის მოსახლეობის ნაწილში გაიზარდა გაურკვევლობის დონე. ეს ხელს უშლის ამომრჩეველს მიიღოს გადაწყვეტილება ფაქტებზე დაფუძნებით და არა ემოციებზე.
4. საფრთხე ექმნება სახელმწიფო ინსტიტუტებს. კრემლის მიზანმიმართული დეზინფორმაცია ულახავს რეპუტაციას სახელმწიფო ინსტიტუტებს ამითი ნდობას აკარგვინებს მოსახლეობასმათ მიმართ.
5. საფრთხე ექმნება სტაბილურობას ქვენის შიგნით. კრემლის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის კამპანით ძლიერდება ქსენოფობია. ხდება ეთნიკური და რელიგიური შუღლის გაღვივება. პარალელურად სუსტდება სამოქალაქო ერთიანობა ქვეყნის

მოსახლეობის შორის. რთულდება ეთნიკურ და რელიგიური უმცირესობების საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინტეგრაცია.[26]

ამ და სხვა საფრთხეების წინაშე დგას საქართველო რუსული საინფორმაციო ომის პირის.

მე–2 თავის შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ რომ ჰიბრიდული ომის ეს ელემენტი–საინფორმაციო ომი არის ერთ ერთი მნიშვნელოვანი იარაღი რუსეთის ხელში.

II თავში მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე ჩანრ, რომ რუსეთის მიერ ხდება ფართომაშტაბიანი საინფორმაციო ომის წარმოება პრობაგანდისა და დეზინფორმაციის მეშვეობით. კრემლი ახდებს თავიანთი მიზნებისატის კონკრეტული სახის ნარატივები გავრცელებას, რომელიც საქართველოსთვის წარმოადგენენ საფრთხეებს.

"საინფორმაციო ომის სამიზნე არის
არა ჯარისკაცების სხეულები,
არამედ აუდიტორიის გონება. "

[26] ქევანიშვილი 2019

ვიქტორია რომანიუკი

III თავი:

კრემლის საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები საქართველოში

III თავში არის თავმოყრილი ინფორმაცია რუსეთის საინფორმაციო ომის, პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელების გზებზე. განხილულია რამოდენიმე საშუალება რომლითაც ახდენს კრემლი ნარატივების გავრცელებას საზოგადოებაში.

3.1 კრემლის საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები საქართველოში

კრემლის დღევანდელი საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები მოიცავს უახლესი ტექნოლოგიებისა და შესაძლებლობების საიმედო და გამოცდილ ზემოქმედების ინსტრუმენტებს. [27] დასავლეთის საწინააღმდეგო ნარატივების გავრცელებისთვის კრემლი იყენებს სხვადასხვა საშუალებებს: ტრადიციული მედია და ონლაინ მედია, სოციალური ქსელები, არასამთავრობო ორგანიზაციები და

[27] ავალიშვილი, ლომთაძე, ქევხიშვილი 2016.

საზოგადოებრივი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკური მოძრაობები, საზოგადოებრივი აზრის შემქმნელი ინდივიდები.

აქვე აღსანიშნავია პროპაგანდის და დეზინფორმაციის გავრცელების მექანიზმები:

- სიხშირე / განმეორებადობა
- განგრძობადობა
- წყაროების სიმრავლე

ყველაზე მნიშვნელოვანია განმეორებადობა ანუ ინფორმაციის გავრცელების სიხშირე. ამ დროს იზრდება ცრუ ინფორმაციის დამაჯერებლობის ხარისხი. ამ მოვლენას ეწოდება ,,ილუზორული სიმართლის ეფექტი‘‘, როდესაც გარკვეული ინფორმაცია უფრო დამაჯერებელია როდესაც ის უფრო ხშირად გვხვდება ან გვესმის. რაც უფრო ხშირად ნახვადი ან მოსმენადია ინფორმაცია მით უფრო დამაჯერებელი ხდება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სხვადასხვა წყაროებიდან ხდება მსგავსი ინფორმაციი მიღება.

პროპაგანდის გავრცელების როს მიმართავენ ე.წ. დეფლექციას ანუ წყაროს არიდების მოდელს. ინფორმაციის მიმღები არ აკავშირებს ინფორმაციას თავდაპირველ წყაროსთან არამედ აღიქვამს ამ მესიჯის თავდაპირველ გამავრცელებლად უშუალოდ იმ წყაროს სადაც ეცნობა მას.

ასეთ დროს გამავრცელებლის მიზანია დამალოს გზავნილის თავდაპირველი წყარო და შექმნას მაღალი ხარისხის ნდობა როგორც მესიჯის, ასევე იმ წყაროს მიმართ, რაიდანაც ხდება ინფორმაციის გავრცელება.[28]

3.1.1 მედია საშუალებები

გლობალური საკომუნიკაციო ქსელის განვითარებასთან ერთად კრემლისთვის საინფორმაციო სივრცე ხდება უფრო და უფრო მიმზიდველი არეალი. რუსეთი იყენებს მედიის სრულ ჩართულობას. დღეს, სოციალურ მედიის განვითარებასთან ერთად მისი დატვირთვა მაქსიმალურად არის გაზრდილი.[29]

მედია არის კომუნიკაციის ანდა ინფორმაციის გავრცელების საშუალება

მედია აერთიანებს:

- ბეჭდურ მედიას (გაზეთები, ჟურნალები)
- სამაუწყებლო მედიას (ტელევიზია, რადიო)
- ინტერნეტ მედიას (სოციალური მედია, ბლოგები, ელ.–საიტები)

მედიის გამოყენება არის:

- სწრაფი
- მასიური

[28] კინწურაშვილი 2019
[29] ესებუა 2021 339-364

- იაფი (დამოკიდებულია)
- მუშაობს[30]

კრემლის პროპაგანდის არხები საქართველოში: ტელევიზიები („ობიექტ ტვ“ „ტვ იმედი“ „მაესტრო“) ინტერნეტ ტელევიზია და პორტალები („სპუტნიკ ჯეორჯია“ „საქინფო“ „ალტ ინფო“) გაზეტები: „ასავალ–დასავალი“ და „ალია“ რუსული პროპაგანდის აქტიური გამავრცელებლები არიან. ეს მედია საშუალებებიმიჰყვებიან კარგად სტრუქტურირებულ ანტიდასავლურ რიტორიკას, რომელიც მათი საინფორმაციო პოლიტიკის ნაწილია. ეს ქართული მედია საშუალებები, იმეორებენ RT–ისა და „SPUTNIK”–ის ნარატივებს, თავისმხრივ საქართველოს მოსახლეობის 9%–ისთვის ინფორმაციის მთავარი წყაროა. [31]

„რუსეთი წარმატებით იყენებს სტრატეგიულ კომუნიკაციებს. ტელეკომპანია RT (Russia Today) და სააგენტო Sputnik-ი წარმოადგენს ამ სტრატეგიის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს. რუსეთი ასევე, აქტიურად იყენებს სატელევიზიო გადაცემებს, ინტერნეტ-ტროლებს, ბოტებსა და ე.წ. Fake News-ებს. რუსული პროპაგანდა საინფორმაციო-ფსიქოლოგიურ ოპერაციებს ახორციელებს მრავალი მეთოდის გამოყენებით, მათ შორის, დადასტურებული ფაქტების ეჭვქვეშ დაყენება/უარყოფით და კონკრეტული მოვლენების ალტერნატიული ვერსიების გავრცელებით, აუდიტორიის დასაბნევად.“

კრემლის პროპაგანდის დ ადეზინფორმაციის მესიჯი არის ადვილი აღსაქმელი დადგან არის მორგებული აუდიტორიაზე და მარტივი გასაგებია

[30] გვარაძე 2020
[31] ღვინერია 2021 221-240

რუსული მედია ქართულ სატელევიზიო სივრცეში - საქართველოში დრესდღეისობიტ ერთ ერთი წამყვანი ინფორმაციის წყარო არის ტელევიზია.

„კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 88% ეყრდნობა ტელევიზიას, როგორც საინფორმაციო წყაროს, პოლიტიკისა და მიმდინარე ამბების გასაგებად. იგივე კვლევა აჩვენებს, რომ ქართველთა დაახლოებით 23% იგებს ახალი ამბები "უცხოური" (არაქართული) არხებიდან. რუსეთის პირველი არხი (38%), RTR (30%), რასია1 (18%) და RenTV (16%). გასაკვირი არ არის, ქართველთა 70% აცხადებეს, რომ რუსულ ენიას კაგად ფლობს. რაც შეეხება რუსი, სომეხი და სხვა ეთნიკური ხალხებით დასახლებულ რეგიონებისთვის, სწორედ რუსული ენა რჩება ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ.[32]

სოციალური ქსელები (Face Book, Twitter, VKontakte და სხვა)

რუსეთის საინფორმაციო ომში ჩართულია ასობით მოქალაქე, რომლებიც საოციალური პლატფორმების საშუალებითნ ყალბი ანგარიშების გამოყენებით ავრცელებენ დეზინფორმაციას. მათი ამოცანაა, რაოდენობის შექმნა. რაოდენობამ უნდა შექმნას კრემლის მხარდაჩერის დიდი არმიის ვიზუალიზაცია. გამოკვეთოს ინტერნეტ სივრცეში რუსული პოლიტიკის ფართო მხარდაჭერა. ასეტ ჯგუფებს „ტროლებს“ უწოდებენ. კრემლი აქტიურად იყენებს „ტროლების ფერმის“ აქტივობებს. მათი საქმიანობაა „პარალელური რეალობის“ შექმნა, რომელსაც

[32] Walker 2017, 22–25

რუსული ნარატივების გასამყარებლად იყენებენ: „ყოველი ტროლი დღეში 50 ახალ ამბავსა და სტატიას უნდა აქვეყნებდეს, რისთვისაც FaceBook–ის 6 და Twitter–ის 10 ანგარიშს იყენებს და დღეში 50 ტვიტს მაინც პოსტავს. მუშაობის ამ ტემპით და მოცულობით ათასი (1000) ტროლის მცირე არმიას დღეში 100 000 ნიუსისა და ტვიტის გამოქვეყნება შეუძლია.“[33]

სოციალური ქსელების მეშვეუბით ძალიან მრტივად ხდება პრორუსული და ანტი დასავლური რიტორიკის გაჟღერება. ასევე ხშრია სოციალური ქსელების მეშვეუბით ძალადობრივი მოწოდებების გაკეთება. აქ გამოირჩევიან ულტრა–მემარჯვენე ნაციონალისტური პარტიები დ ამთი მიმდევრები რომლებიც ახორციელებსნ ღია ანტი დასავლურ პროპაგანდას და ირიბად ეწევიან პრო რუსულ აგიტაციას.

3.1.2 პრორუსული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები – ე.წ. „მეხუთე კოლონა“

სამწუხაროდ საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მრავალად არიან რუსული პროპაგანდის გამავრცელებალი პოლიტიკური პარტიები თუ პოლიტიკოსები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ავრცელებენ კრემლის ნარატივს.

ეს პარტიები შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილად:

[33] ღვინერია 2021 221-240

6. პილიტიკური პარტიები რომლებიც არ ერიდებიან და ღიად ხვდებიან, სტუმრობენ მოსკოვს და დაუფარავად ავრცელებენ რუსულ მესეჯებს.
7. პოლიტიკური პარტიები რომლებიც ერთი მხრივ ოფიციალურად ემიჯნებიან კრემლის პოლიტიკას თუმცა მეორე მხრივ თავს „პრო–ქართულ“ ძალად მოიხსენიებენ და ნეიტრალიტეტის მომხრენი არიან.

ძირითადა ამ პარტიების მთავარი, ძირითადი სათქმელი ერთია – დასავლეთის უარყოფა. პირდაპირი ან ირიბი გზებით ისნი ცდილობენ საზოგადოებაში უნდობლობის ჩამოყალიბებას ევროპული და ევრო–ატლანტიკური ორგანიზაციებში გაწევრიანებისა და მათტან აქტიურად თანამშრომლობის კუთხით. მაქსიმალურად ხდება დასავლეთის დისკრედიტირება. დასავლური ინსტიტუტების დაკნინება. ევროპული ღირებულებების შეუთავსებლობის წარმოჩენა ქართულ იდენტობასთან და საპირისპიროდ ამავდროულად ხდება პრო–რუსული განწყობების ჩამოყალიბება და საქართველოს ნეიტრალიტეტის პოპულარიზაცია.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს პარლამენტის მოქმედი თუ ყოფილი წევრების მხრიდან მკაპიო პირდაპირი ან და ირიბი ანტი–დასავლური მესიჯები და განცხადებები. ასეთი გზავნილები პირდაპირი ან თუნდაც ირიბი კრემლის პროპაგანდის მიზნებს ემსახურება.

3.1.3 არასამთავრობო ორგანიზაციები

რუსული დეზინფორმაციული კამპანიის და პრპპაგანდის აქტიური მოქმედი პირები არიან საქართველოში ბოდო დროს მომრავლებული პრო–რუსული არასამტავრობო ორგანიზაციები. შესაძლებელია ორი ორგანიზაციის გამოყოფა:

- ევრაზიის ინსტიტუტი
- ევრაზიული არჩევანი

ამ ორგანიზაციებს აერთიანებს და გამოარჩევს მწვავე ანტი–დასავლური რიტოტიკა. ასევე, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ანალიტიკური სტატიების თუ ნაშრომების გამოქვეყვებისას ეყრდნობიან რუსულ წყაროებს.

ასევე აღსანიშნავია, რომ ასეთ არასამთავრობოების მესიჯები, ხშირად თანხვედრაში მოდის კრემლის სხვა პროპაგანდისტულ თუ დეზინფორმაციო არხებთან და მათ ნარატივებთან. ხდება მათი განმეორება.[34]

3.1.4 ეკლესია (სასულიერო პირები)

[34] ავალიშვილი, ლომთაძე, ქევხიშვილი 2016

- **ეკლესიის როლი და გავლენები**

ეკლესიას – განსაკუთრებული როლი ეკავა ქართულ სახელმწიფოში. XX საუკუნეში საბჭოთა პერიოდში ეკლესია, ჩამოყალიბდა გარკვეულ მექანიზმად ხალხზე, ზემოქმედების. ეკლესიაში მართველობის სტრუქტურაც შესაბამისად ჩამოყალიბდა.

1990 წლიდან ეკლესიამ შეინარჩუნა მმართველობის ეს არადემოკრატიული სტილი თუმცა ამავდროულად გახდა დამოუკიდებელი იდეოლოგიის მატარებელიც და ერთის მხრივ, ისტორიულად ააქვს სტატუსი და რეპუტაცია ქართველი, მართლმადიდებელი ერის გამაერთიანებლის. დღეს ეკელსია ფაქტიურად წარმოადგენს „ინტერესთა კგუფს“ და რიგ შემთხვევებში პირდაპირ ერევა სახელმწიპო პოლიტიკაში.

თუ გავითვალისწინებთ და გავალლებთ პარალელს სხვადასხვა არცევნების პერიოდში ეკლესიისათვის დაფინანსების გაზრდის ან უსასყიდლოდ მიწების გადაცემას, აქადან გამომდინარე საერო ხელისუფლებაც ტანხმდება იმაში რომ ეკლესიას ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს ხალხზე, მრევლზე, ამომრჩევენზე.

- **სასულიერო პირები**

ხშირად სასულიერო პირებისგან ხდება დასავლური კულტურის და ღირებულებების შეუთავსებლობაზე აპელირება ქართულ მარტლმადიდებლურ

ღირებულებეთან. რთულია იმის თქმა რამდენად ფართეა ეს წრე თუმცა ნაწილი აქტიურად აპელირებს და ანვიტარებს რუსული პროპაგანდის მესიჯებს დასავლეთთან იდეური თუ მორალური შეუთავსებლობის შესახებ. სასულიერო პირების მიერ კრემლის ნარატივების ირიბი თუ პირდაპირი გავრცელება არის სერიოზული საფრთხე, რაქდგან ქარტულ საზოგადოებაშ ისინი სარგებლობენ მაღალი ნდობით და გავლენით. სასულიერო პირების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან კრემლის პროპაგანდისტული გზავნილების ირიბად თუ პირდაპირ გავრცელება, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან, ქართულ საზოგადოებაში ისინი მაღალი ნდობით და გავლენით სარგებლობენ.

- **კრემლის ერთმორწმუნეობრივი თამაშები საქართველოში მიზნები და ამოცანები**

1990–იანი წლების დასაწყისიდან, რუსული ეკლესია არის ყველაზე დიდი მხარდამჭერი რუსული სახელმწიფოსი და მისი პოლიტიკის. დღეს მოსკოვი ეკლესიის როლს იყენებს როგორც რბილი ძალის მტავარ მექანიზმს როგორც შიდა ასევე საგარეო პოლიტიკაში. რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში სჯერად, რომ რელიგია არის სახელმწიფოებრიობის გაგრძელება – ანუ ნოიაზრებენ ეკლესიას სახელმწიფოს ერტ ეღტ პოლიტიკურ ელემენტად. სჯერათ რომ რუსეთს აქვს უპირატესობა სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან და მან უნდა მოხდინოს ზეგავლენა მათზე. ასევე იზიარებენ იმ აზრს რომ რუსული

მართლმადიდებლური ეკლესია არის სხვა მართლმადიდებელი ეკლესიაბის ზედამხედველი.

საქართველო არ არის გამონაკლისი, და რუსული ეკლესიის მიზანია მაქსიმალურად მოახდინოს თბილისი დაბრუნება კრემლის ორბიტაზე. ამ მიზნის მისახწევად რუსეთი ავრცელებს დეზინფორმაციას დ აიყენებს პროპაგანდას ეკლესიის მეშვეობით. იმის გათვცალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 84% მართლმადიდებელია რუსული ერთმორწმუნოებრივი ნარატივები არის აბსოლიტურად გამართლებული რუსული მიზნებისათვის.

რუსული ნარატივები აერთიანებს ანტი–გლობალიზაციის, ანტი ევროინტეგრაციის მესიჯებს. მოსკოვის გადმოსახედიდან ისეთი მარტლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყვისთვის როგორიც საქართველოა, შეუძლებელი იქნება ევროპული ღირებულებების გაზიარება, რომლებიც შეუთავსებელია ქრიასტიანულ, ქართულ ღირებულებებთან და მეორე მხრივ, ორი მართლმადიდებლური ქვეყნის კონსერვატიული ღირებულებები ავსებს და იზიარებს ერთმანეთს. კრემლი აპელირებს LGBTQ უფლებებზე და მათ სამომავლო უფლებების ზრდაზე გლობალიზაციის პირობებში.

მოსკოვი აპელირებს ქართული საზოგადოების ტრადიციულ, კონსერვატიულ საზოოგადოებაში ანტი–ლიბერალური განცხადებებით.

კრემლი ცდილობს ზეგავლენა ჰქონდეს საპატრიარქოზე. მეტიც მომავალი პატრიარქი შიო მუჯირიო მათვის არის სასურველი კანდიდატი, რომელმაც განათლება მიიღო წმ. ტიხონოვის სასულიერო უნივერსიტეტში მოსკოვში და აკავშირებს ბევრი რამ რუსეთთან.[35]

სასულიერო პირების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან კრემლის პროპაგანდისტული გზავნილების ირიბად თუ პირდაპირ გავრცელება, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან, ქართულ საზოგადოებაში ისინი მაღალი ნდობით და გავლენით სარგებლობენ.

3.1.5 კიბერ სივრცე

რუსეთმა საგრძნობლად გაზარდა თავისი აქტივობა კიბერ სივრცეში. რუსული სპეცსამსახურების აქტიური კიბერ შეტევებით მათ მოახერხეს და მოიპოვეს მრავალი დახურული წვდომა სხვადასხვა საჯარო უწყებაში დაცულ ინფორმაციაზე. ასევე ახდენენ კრემლის პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გავრცელებას კიბერ სივრცეში. რუსეთის სამიზნეს წარმოადგენს, როგორც ტექნიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ეფექტზე ორიენტირებულ კიბეროპერაციები აერთიანებს.

საქართველოსათვის რეალურ საფრთხის შემცველი არის რუსეთის კიბერაქტივობები, საინფორმაციო-ტექნიკური, ასევე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ეფექტით.

[35] Jokhadze 2020 27-32

რუსეთი დღესდღეობით არის მაღალგანვითარებული დესტრუქციული კიბერშეტევითი პოტენციალის მქონე ქვეყნა.

2008 წლის აპრილში რუსეთის მხრიდან განხორციელდა მასირებული კიბერ შეტევა რადიო თავისუფალ ევროპასა და რადიო თავისუფლებაზე.

„2008 წლის 20 ივლისი კიბერ შეტევა საქართველოს მთავრობის ვებ–გვერდებზე შეიძლება ჩაითვალოს წინასაომარ რეპეტიციათ“. – დავით ჩხეტიანი[36]

2008 წლის ივლის - აგვისტოში რუსეთის მხრიდან მოხდა კიბერ შეტევა საქართველოს კიბერსივრცეზე, რაც ზოგიერთი ექსპერტების მიერ შეფასდა ასევე როგორც მასშტაბური ხასიათის „საინფორმაციო ომი“ მიმართული საქართველოს წინააღმდეგ.

2008 – 2014 წლებში რუსეთის მხრიდან სისტემატურად ხორციელდებოდა კიბერშეტევა საქართველოს შინაგან და საგარეო საქმეთა სამინისტროებზე. [37]

2008 წელს რუსეთის მიერ განხორციელებულ ჯიბერ შეტევებში დიდი როლი ითამაშა ძლიერი ტექნიკური საშუალებების მქონე კრიმინალურმა ორგანიზაციამ - RBN (Russian Business Network), რომლის ეგიდით კონსპირაციულად მოქმედებდნენ რუსული სპე სამსახურები.

[36] ჩხეტიანი 2018
[37] სვანაძე

2020 წლის 1 სექტემბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპიუტერულ სისტემაზე განხორციელდა კიბერშეტევა. მოხდა დაავადებათა კონტროლისა და რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრის მონაცემთა ბაზებში დაცული სამედიცინო ხასიათის დოკუმენტაციისა და პანდემიის მართვასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება და გამოყენება.

2019 წელს განახორციელა კიბერშეტევა ქართულ სერვერებზე. აღნიშნულ კიბერშეტევაზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის (სუს) 2019 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ ,,ქართული მხარის მიერ ჩატარებული გამოძიებითა და საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული კიბერშეტევა დაიგეგმა და განხორციელდა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს მიერ. კიბერშეტევა მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას, საქართველოს მოსახლეობისათვის ზიანის მიყენებასა და სამთავრობო სტრუქტურების, ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციის ფუნქციონირების შეფერხებითა და მოშლით საზოგადოებაში მღელვარების დათესვას‘‘.

შეგვიძია ვივარაუდოთ რომ ერთ ერთი ბოლო კიბერ შეტევა ლუგარის ლაბორატორიაზე იყო რუსული სპეცსამსახურების შემოქმედება აქვე აღსანიშნავია

ის პროპაგანდა და დეზინფორმაცია რომელესაც რუსეთი ეწევა მთელი ბოლო წლების განმავლობაში ლაბორატორის დისკრედიტაციის მიზნით.[38]

ამ თავში თვალნათლივ ჩანს, რომ რუსეთი ფართომაშტაბიანად და აქტიურად იყენებს საქართველოში მედია საშუალებებს. ასევე კიბერ შეტევებს როგორც საინფორმაციო ომის მექანიზმს. ქვეყანაში არსებულ პრორუსულ ძალებს და ერთმორეწმუნეიობის ნარატივს.

დასკვნა

ამ ნაშრომში მიმოხილული იქნა ჰიბრიდული და საინფორმაციო ომის წარმოების მექანიზმები. ასევე განხილული იყო რელური მაგალითები რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული, საინფორმაციო ომი, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის გამოყენებით. თემაში მოყვანილია მიზნები, რომელსაც ემსახურება კრემლის ჰიბრიდული სტრატეგია და ნარატივები, რითაც ხდება საზოგადოებაზე ზემოქმედება. ასევე ჩამოთვლილია რუსეთის საინფორმაციო ომით გამოწვეული საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები.

[38] კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი, 2020

ნაშრომში გამოყენებულ ინფორმაციაზე დაფუძნებით უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე რუსეთის მიერ ჰიბრიდული ომის სტრატეგიამ გარკვეულწილად შეცვალა დასავლეთისა და საქართველოს აღქმა გამოწვევებისა, რისკებისა თუ საფრთხეების მიმართ.

მოხდა გაანალიზება და ოფიციალურად აღიარება, რომ კრემლის მიერ წაროებული ჰიბრიდული ომი არის გაცილებით უფრო ფართე, აგრესიული და მეორე მხრივ უჩინარი ვიდრე ეს იყო აღიარებული. რუსული საინფორმაციო ომის შედეგები არ იყო აღქმული სერიოზულად 2008 წლის რუსეთ საქართველოს ომის დროს, რამაც რუსეთს მისცა ძალიან ფართე გზა ჰიბრიდული ომის სტრატეგიის და მექანიზმების დახვეწის.

დღეს , რუსეთ–უკრაინის ომის შემდეგ, ნატო–მ შეიმუშავა პოლიტიკა რუსული საინფორმაციო ომის წინააღმდეგ. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა ოფიციალურად თავის ანგარიშში აღიარა რუსული საინფორმაციო ომი, პროპაგანდა და დეზინფორმაცია ჰიბრიდული ომის ნაწილად რომელიც ხორცილდება საქართველოში, ფართო მასშტაბებში.

რუსულმა პროპაგანდამ და დეზინფორმაციამ შეაღწია ყველგან: მედია, (ტელე–რადიო მაუწყებლობა, ბეჭდური მედია, სოციალური ქსელები) პოლიტიკა, ეკლესია, არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო საზოგადოება, კიბერ სივრცე. კრემლი აწარმოებს ფართო მასირებულ საინფორმაციო ომს.

ისმის კითხვა, რისი გაკეთება შეიძლება? რა უნდა დავუპირისპიროთ რუსულ პროპაგანდას და დეზინფორმაციას?

საქართველოში უნდ მყარად ჩამოყალიბდეს დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული კონსოლიდირებულ საზოგადოება.

განისაზღვროს და შემუშავდეს სტრატეგიული უსაფრთხოების მოკლე, საშუალო და გრძელ ვადიანი დოკუმენტი.

შეიქმნას რუსული საინფორმაციო ომის წინააღმდეგ მომუშავე სტრუქტურული ერთეული.

მაქსიმალურად მოხდეს საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა და ურთიერთობების გაღრმავება.

ამასთან ერთად აუცილოებლად უნდა მოხდეს:

რუსული საინფორმაციო ომისთვის მარტივი სამიზნეების განსაზღვრა და მათთან მუშაობა. ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება. მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევა. ნეპოტიზმისა და კორუპციის მაქსიმალურად შემცირება სახელმწიფო სტრუქტურებში.

რუსულ პროპაგანდას და დეზინფორმაციას უნდა დავუპირისპიროდ სტრატეგიული კომუნიკაციები. აქტიური პროდასავლური პოლიტიკა.

რუსული ჰიბრიდული ომის საინფორმაციო ომის ელემენტი იყენებს იმ სისუსტეებს რომელლიც არის საზოგადოებაში. შესაბამისად მაქსიმალურად უნდა მოხდეს საზოგადოებისა და ქვეყნის გაერთიანება ერთი ეროვნული აზრისა და ღირებულებეის ირგვლივ.

გამოყენებული ლიტერატურა

წიგნები:

1. ესებუა კახაბერ, ჰიბრიდული ომების ანატომია ჰიბრიდული ომი საქართველოს წინააღმდეგ: აფხაზეთის ომის მაგალითი (თბილისი, პალიტრა L, 2021) 339–364
2. პანფილოვი ოლეგ, რუსულ–ქართული საინფორმაციო ომი. 2008 წელი (თბილისი, ბაკურ კულაკაურის გამომცემლობა, 2018)
3. სუნ–ძი, ომის ხელოვნება გამომცემლობა (ბათუმი, „წიგნები ბათუმში“ 2019)
4. ღვინერია შოთა, ჰიბრიდული ომების ანატომია შიდასახელმწიფოებრივი სისუსტეების რუსულ იარაღად ქცევის ჰიბრიდული სტრატეგია საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე (თბილისი, პალიტრა L, 2021) 221-240
5. ჩხეტიანი დავით, ჰიბრიდული ომი სტრატეგია და ტაქტიკა (თბილისი 2018)
6. Avdaliani Emil The many dimensions of hybrid warfare New Eastern Europe THE KREMLIN`S HYBRID WAR The Case of Gerogia June-August No 4 (XLII)/2020 7–12
7. Berzins, J., Russia`s New Generation Warfare in Ukraine: Implication for Latvia Defense Policy ლატვიის თავდაცვის ეროვნული აკადემია, უსაფრთხოების და სტრატეგიული კვლევების ცენტრი, 2014,
8. Julukhidze Grigol How Russian propaganda works in Gerogia New Eastern Europe THE KREMLIN`S HYBRID WAR The Case of Gerogia June-August No 4 (XLII)/2020 13–19
9. Jokhadze Giorgi Religion as a powerful foregn policy tool New Eastern Europe THE KREMLIN`S HYBRID WAR The Case of Gerogia June-August No 4 (XLII)/2020 27-32
10. Walker ViViana S. The Floating Tree: Crafting Resilient State narratives in Post-Truth Environments The Case of Georgia (Figuero Press Los Angeles 2017)
11. Lacey, J. Aprovice too far In Willianson Murry and Peter R. Mansoor eds. Hibrid warfare: fighting complex opponents from the ancient world to the present, Cambridge, USA: Cambridge Inoversity Press (Chapter 1) p.15-18
12. Mansoor P.R. (2012) Hibrid warfare in history, In Willianson Murry and Peter R. Mansoor eds. Hibrid warfare: fighting complex opponents from the ancient world to the present, Cambridge, USA: Cambridge University Press p.8-9

ანგარიში, სტატია, მონოგრაფია:

13. ახვლედიანი ანი, ჰიბრიდული ომი როგორც ევრო–ატლანტიკური უსაფრთხოების ახალი გამოწვევა და ნატოს სტრატეგიული კონცეფცია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი სამაგისტრო ნაშრომი (თბილისი 2019)
14. გვარაძე მარიამ სტრატეგიული კომუნიკაციები PPT 2020
15. კინწურაშვილი თამარ, ანტი დასავლური პროპაგანდა 2018 (მედიის განვითარების ფონდი 2019)
16. სვანაძე ვლადიმერ, რუსეთის კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობები

ინტერნეტში განთავსებული მასალა:

17. ავალიშვილი ლევან, ლომთაძე გიორგი და ქევხიშვილი სანდრო 2016. კრემლის საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ: პროპაგანდასთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი https://idfi.ge/ge/informational-war-of-kremlin-against-georgia-the-necessity-of-having-state-policy-against-propaganda (20.09.2021)
18. გურგენაშვილი ირინა, 2017, რა არის ყალბი ახალი ამბავი (Fake News) https://factcheck.ge/ka/story/28452-ra-aris-qhalbi-akhali-ambavi-fake-news (20.09.2021)
19. ლაჩაშვილი იაკობ, 2020. როგორ იყენებს კრემლი კორონავირუსს დეზინფორმაციის გასავრცელებლად. Factcheck https://www.factcheck.ge/ka/story/38390%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93 (20.09.2021)
20. ქევანიშვილი ეკა 2019. დეზინფორმაცია და პროპაგანდა - საფრთხე საქართველომაც აღიარა, რადიო თავისუფლება https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%93%E1%83%94%E1%83%96%E1%83

%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%90%E1%83%A6%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90/29863561.html (20.09.2021)

21. ღვინერია შოთა, დეზინფორმაციის კვლევა და გაუვნებელყოფა საქართველოში სოციალური მედიის მონიტორინგი და ანალიზი საბოლოო მოხსენება, EPRC ეკონომიკური პოლიტიკის კვლევითი ცენტრი https://eprc.ge/uploads/brosh/Georgian_A5_Size_Z.pdf (20.09.2021)
22. რა არის დეზინფორმაცია? განმარტება და მაგალითები https://ka.leskanaris.com/7894-what-is-disinformation-definition-and-examples.html (20.09.2021)
23. პროპაგანდა და მისი გავლენა მსოფლიოში, Political Ideologies https://politikuriideologiebi.wordpress.com/2012/12/28/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%92%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94/ (20.09.2021)
24. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, National Parliamentary Library of Georgia - http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5967 (20.09.2021)
25. კიბერშეტევა ჯანდაცვის სამინისტროზე და რუსული კვალი, 2020, IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი https://idfi.ge/ge/strategy_of_russian_cyber_operations (20.09.2021)
26. 2017 წელი, ჰიბრიდული ომი რუსულ სამხედრო თეორიაში Europe for Georgia http://eugeorgia.info/ka/article/637/hibriduli-omi-rusul-samxedro-teoriashi/ (20.09.2021)
27. Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats, 2014, P 2 https://warontherocks.com/2014/07/on-not-so-new-warfare-political-warfare-vs-hybrid-threats/ (20.09.2021)

28. Chivvis Christopher S. Understanding Russian "Hybrid Warfare" And What Can Be Done About It https://www.rand.org/pubs/testimonies/CT468.html (20.09.2021)
29. Oxford Learner`s Dictionar - https://www.oxfordlearnersdictionaries.com/definition/english/hybrid_1?q=hybrid (20.09.2021)

სახელმწიფო დოკუმენტები:

30. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში 2020
31. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია